



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

17 თებერვალი 2025



N 21/1209

შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალს“

მის: თბილისი, ატენის ქ. 16ა, ბინა 24

ელ. ფოსტა: gochamuseliani@yahoo.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 6 დეკემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N11622), რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ყვირილაზე 81 000 მ² მოცულობის წყალსაცავის („ბოსლევი 1 ჰესი“) მშენებლობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს „ბოსლევი 1 ჰესის“ და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში. საჭიროა წარმოდგენილი იყოს კონკრეტული ნაგებობების (მაღური კვანძის, სათავე ნაგებობის) დაფუძნებისთვის ცალკე საინჟინრო-გეოლოგიური და გეოტექნიკური, მათ შორის გრუნტების ლაბორატორიული კვლევების მშენებლობის დაწყებამდე ჩატარების შესახებ ინფორმაცია;
- არასწორადაა დანიშნული ჰიდროსადგურის ნაგებობების კაპიტალობის კლასი და საანგარიშო წყლის მაქსიმალური ხარჯები: საქართველოში მოქმედი ნორმატივების შესაბამისად, მცირე ჰესები განეკუთვნებიან კაპიტალობის მესამე კლასს (სნ 21.06.01-97, გვ.13, პ.2.17) 3% უზრუნველყოფის მაქსიმალური საანგარიშო და 0.5 % სამოწმებელი წყლის ხარჯით (გვ.11, ცხრ.1);
- გზშ-ის ანგარიშში გვ.34, 35, ნახ.4.2.2 გრძივი ჭრილი კაშხალზე და წყალმიმღებზე, ასევე გვ.37, ნახ.4.2.5 (დამბა) - ნაჩვენებია წყლის მაქსიმალური დონე ზედა ბიეფში. დანართში 1, გვ. 319 (დიაგრამა 14.1.1.2) 1% უზრუნველყოფის ხარჯის გავლის დროს ნაჩვენებია წყლის დონეა 238,8, შესაბამისად დასაზუსტებელია რომელი მონაცემია სწორი;
- გზშ-ის ანგარიშში გვ.40 (ნახ. 4.3.2) სალექარის გეგმაზე ნაჩვენებია ჭრილი 2-2-ის ადგილმდებარეობა, თუმცა თავად ჭრილი მოცემული არ არის. დასაზუსტებელია უქმი წყალსადგების მდებარეობისა და ზედმეტი წყლის კალაპოტში გადაგდების საკითხი, ასევე სალექარის გამრეცხი მილის სიგრძე და მდინარესთან შეუღლების ადგილმდებარეობა;
- წარმოდგენას საჭიროებს უდაწნეო გალერეისა და სადაწნეო მილსადენის განივი ჭრილები რელიეფისა და სიტუაციის ჩვენებით. ამასთან, დასაზუსტებელია ნაგებობების განხორციელება საჭიროებს თუ არა მთის ფერდობების დამუშავებას და რა სიმაღლეზე;

- გვ.43 (ნახ. 4.4.1.1), გვ.45 (ნახ.4.4.1.3, ჰესის შენობა, ჭილი 1-1) - ჰესის შენობისა და ძალოვანი კვანძის ნაპირდამცავი კედლის ნახაზებზე ნაჩვენები უნდა იყოს მდინარეში წყლის მაქსიმალური დონეები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სადერივაციო ნაგებობებისა და ძალოვანი კვანძის სქემები;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ყვირილაზე 81000 მ² მოცულობის წყალსაცავის („ბოსლევო 1 ჰესი“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (დიორიტი) მოპოვებაზე გაცემული ლიცენზია N 10001460 (მომპოვებელი – შპს „გრანიტი“, ს/ნ 430031743, 16.01.2009 წ., ვადა - 20 წ.) კონტურს. ამასთან, საპროექტო ტერიტორია კვეთს დილიკაურის გრანიტის გამოვლინების (საღორღე ნედლეული) კონტურს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან და შპს „გრანიტთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 455) წარმოდგენილია სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, „წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს საკვლევი არეალის გეოლოგიურ კვლევას, არ არის საკმარისი ჰესის მშენებლობაზე თანხმობის მისაცემად. საფრთხის შემცველი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალის“ მიერ დამატებით წარმოდგენილი იყოს აკრედიტებული კომპეტენტური ორგანოს მიერ მომზადებული კვალიფიციური საექსპერტო დასკვნა იმის შესახებ, რომ შემუშავებული პირობებით, „ბოსლევო 1 ჰესის“ მშენებლობის პროცესი არ გამოიწვევს უარყოფით ზემოქმედებას მითითებულ მონაკვეთში რკინიგზის ინფრასტრუქტურაზე. საინჟინრო კვლევა საექსპერტო დასკვნით წარმოდგენილი უნდა იყოს სს „საქართველოს რკინიგზაში“ განსახილველად“. ამასთან გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის შპს „საინჟინრო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნის გაგზავნა სს „საქართველოს რკინიგზაში“ და გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვით და გათვალისწინებით:
 - სს „საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში „კომპანია“) მიერ გზშ-ის ანგარიშის შეთანხმება არ ნიშნავს სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა და ინფრასტრუქტურის ეგზ-თი ან ნებისმიერი სხვა სახის კომუნიკაციით გადაკვეთის პროექტის შეთანხმებას, ან/და საინჟინრო კომუნიკაციის (საყრდენები, ჭები, საკაბელო, საჰაერო ხაზები და სხვ.) სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან/და მიმდებარედ განლაგების თანხმობის გაცემას;
 - სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა და ინფრასტრუქტურის საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთის საკითხი რეგულირდება სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის N11/7 დადგენილებით დამტკიცებული სს „საქართველოს რკინიგზის“ ინფრასტრუქტურის მესამე პირების საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად,

რომლის მიხედვითაც სს „საქართველოს რკინიგზა“-ში საჭიროა წარმოდგენილი იყოს სათანადო და სრულფასოვანი პროექტი შემდგომი განხილვის მიზნით;

- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის განხილვის შემდგომ, სს „საქართველოს რკინიგზა“ უფლებას იტოვებს განაცხადოს უარი მის განხორციელებაზე ან/და მოითხოვოს პროექტის შეცვლა/კორექტირება. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „საქართველოს რკინიგზა“-სთან შეთანხმებული პოზიციის ამსახველი დოკუმენტაცია;

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით: საქმიანობა ითვალისწინებს მდინარისპირა ფართობების (მათ შორის ტყით დაფარული ტერიტორიის, სახელმწიფო ტყის გარკვეული მონაკვეთის ჩათვლით) დატბორვას და ხეების ჭრას (მათ შორის 114 ძირი საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობა - წაბლი). გარდა ამისა, კომპანია გეგმავს დამატებით 3 ჰესის მშენებლობას და „ოთხივე მცირე ჰესის გავლენის ზონაში მოქცეული მონაკვეთის სიგრძე, სადაც ადგილი ექნება მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებას იქნება დაახლოებით 11.5-12.0 კმ სიგრძის მონაკვეთი, რაც მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს“. აღნიშნულის გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იყოს შეფასებული ოთხივე ჰესის კუმულაციური ზემოქმედება, კერძოდ: ჰესების ფუნქციონირების შემთხვევაში, მდინარეში დატოვებული - ე.წ. ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობა წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, ჰაბიტატებსა და ეკოსისტემებზე;

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართის სახით გიგზავნით სს „საქართველოს რკინიგზის“ კორესპონდენციას.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

[HTTPS://EDOCUMENT.GE/MEA/PUBLIC/#/1209-21-2-202502171644](https://edocument.ge/mea/public/#/1209-21-2-202502171644)

